

ბლანიზოლი

ბლანიზოლი – სპეციალური კონცენტრირებული საშუალება სამედიცინო ინსტრუმენტების დამუშავებისათვის (გამოიყენება ასევე ენდოსკოპებზე), ზედაპირების ეკონომიური გამწმენდი საშუალება.

შემცველობა: პრეპარატის 100 გრ. შეიცავს: 30 გრ. არაიონურ ზედაპირულად აქტიურ ნივთიერებას, 1 გრ. ბენზალკონიუმქლორიდს, ჟანგვის ინჰიბიტორს, სტაბილიზატორს, არომატიზატორს, წყალს.

გამოყენების არე:

პრეპარატი გამოიყენება ინსტრუმენტებისა და ზედაპირების დამუშავებისათვის; კათიონური სადეზინფექციო საშუალებების სარეცხი თვისებების გაძლიერებისათვის.

თვისებაბი:

მაღალკონცენტრირებული სარეცხი საშუალება;
კარგად ასუფთავებს სისხლით, ცილებითა და ცხიმებით დაბინძურების შემთხვევაში;
არ ავნებს მატერიალებს;
ქიმიურად და მიკრობიოლოგიურად შეთავსებადია შემდეგ სადეზინფექციო საშუალებებთან: დეზოფორმი, ლიზოფორმ სპეციალი, ლიზოფორმინ 3000.

ბლანიზოლის გამოყენება:

ბლანიზოლ-კონცენტრატი გამოიყენება მხოლოდ გაზავებული სახით;
სითხის საჭირო კონცენტრაცია შეიძლება მიღწეული იქნას კონცენტრატის წყლით გაზავებით;
ძლიერი ქაფის წარმოქმნის ასარიდებლად, ჭურჭელი ჯერ წყლით და შემდეგ ბლანიზოლით ივსება.

სამედიცინო ინსტრუმენტების დამუშავებისათვის: 0.25-1.0% ხსნარი (2.5-10 მლ კონცენტრატი 1 ლ. წყალზე) – 10 წუთი.

უსაფრთხოების ზომები:

არ გამოიყენება დამცავი ხელთათმანების გარეშე;
მოარიდეთ ბავშვებს.

დაფასოება: ბალონი 1 ლ.